ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - კონსტანტინე გელაშვილი

კოლეგიის წევრი - ეკატერინე გეწაძე

კოლეგიის წევრი - ეკატერინე მაჭარაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 11.03.24

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი /სიითი N/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 003/24

I. შეკითხვა

2022 წლის მარტის თვეში ფიზიკურ პირებს შორის ზეპირსიტყვიერად მოხდა შეთანხმება საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის შესახებ. „პოტენციური მყიდველის“ თხოვნა იყო ასეთი, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე ის გადავიდოდა სახლში და თვეში გადაიხდიდა გარკვეულ თანხას, ხოლო ნასყიდობის თანხის სრულად გადახდის დროს, მის მიერ გადახდილი თანხის ოდენობა გამოკლდებოდა სახლის სრულ ღირებულებას. მესაკუთრე დათანხმდა ამ პირობას. სახლი ამ დროს იყო ბანკის სახელზე გადაფორმებული. ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად მფლობელად რჩებოდა მესაკუთრე და მას არ ეზღუდებოდა სახლის განკარგვა.

„პოტენციური მყიდველის“ მიერ ვერ მოხდა ნასყიდობის ფასის გადახდა. 2023 წლის აპრილში მან შეწყვიტა ყოველთვიურად თანხის გადახდა და არც სახლი დატოვა. სახლის დაცლის სანაცვლოდ ის ითხოვდა თანხას რაც სარემონტო სამუშაოებში გაწია, თუმცა ვერანაირად ვერ ახდენდა დახარჯული თანხის დასაბუთებას.

2023 წლის მაისის თვეში სახლი ბანკმა გადაუფორმა ყოფილ მესაკუთრეს. „პოტენციურმა მყიდველმა“ მესაკუთრეს უჩივლა თაღლითობის მუხლით, გამოძიება დაიწყო და საქმე დაიხურა დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო.

2024 წლის იანვარში მესაკუთრემ პოლიციას მიმართა განცხადებით და სისხლის სამართლის საქმე აღიძრა „პოტენციური მყიდველის“ წინააღმდეგ, რომელიც უსაფუძვლოდ ფლობს სხვის ქონებას.

2024 წლის 5 მარტს მესაკუთრემ „პოტენციური მყიდველისგან“ მიიღო ვიდეო ჩანაწერი, სადაც „პოტენციური მყიდველის“ ადვოკატი ასახელებს მესაკუთრის სახელს, ნაჩვენებია სახლის მისამართი, ასახელებს მის პროფესიებს და სამუშაო ადგილებს (ადვილი ხდება მისი ვინაობის იდენტიფიცირება) და ამბობს, რომ მან თაღლითური გზით, მოტყუებით მიაქირავა მის კლიენტს, („პოტეციურ მყიდველს“) სახლი, რომ მესაკუთრემ დამალა ინფორმაცია, რომ სახლი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით გადაფორმებული იყო ბანკის სახელზე, რომ სახლის ნაწილი არის სადავო და ვერ ხდება მისი გაფორმება. ასევე ამბობს, რომ მათ განცხადებით მიმართეს პოლიციას თაღლითობის მუხლით, თუმცა პოლიციამ არ აღძრა საქმე. ადვოკატის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს.

მოტყუებით მესაკუთრე ვერ მიაქირავებდა სახლს, მას ქონდა წვდომა საჯარო რეესტრის ამონაწერთან, ამის გარდა ზეპირსიტყვიერად ნათქვამი იყო, რომ სახლი ბანკის სახელზე იყო გადაფორმებული და ყიდვის შემთხვევაშ როგორ მოხდებოდა ახალ მესაკუტრეზე სახლის გადაფორმება, ეს შეთანხმებული იყო მასთან. შენობა დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და კვადრატულობის დარეგისტრირება არ წარმოადგენს სირთულეს, ესეც შეთანხმებული იყო მასთან. თაღლითობის მუხლით საქმე აღძრული იყო და დაიხურა.

ადვოკატის მიერ ჩაწერილი ვიდეოს გავრცელება რა სახით მოხდა ან/და მოხდება თუ არა მომავალში უცნობია.

რამდენად არის ადვოკატის მიერ გაკეთებული ჩანაწერი ეთიკური? მოქმედებდა თუ არა ადვოკატი მისი საქმიანობის ფარგლებში. რამდენად აქვს მას უფლება გაავრცელოს მესაკუთრის მისამართით არასწორი ინფორმაცია, რითიც ილახება პირის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია?

II. ანალიზი

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 41-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „რეკომენდაცია არის ეთიკის კომისიის მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. რეკომენდაცია წარმოდგენილ ფაქტებზე დაყრდნობით განმარტავს ეთიკის კოდექსის ნორმებს და შეიცავს მოსაზრებას, შეკითხვაში გადმოცემული შესაძლო ქმედება არის თუ არა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა.“ თავის მხრივ, დებულების 41-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საკითხებს, რომელზეც ეთიკის კომისია უფლებამოსილია გასცეს რეკომენდაცია. კერძოდ, რეკომენდაცია შეიძლება იყოს: 1. ნორმის განმარტება. 2. მოსაზრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის საკითხებზე. 3. მოსაზრება კონკრეტული შესაძლო ქმედების ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებთან შესაბამისობაზე. შესაბამისად, დებულების 41-ე მუხლი ამომწურავად ჩამოთვლის იმ საკითხებს რაზეც კომისია გასცემს რეკომენდაციას.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 42-ე მუხლის თანახმად, ეთიკის კომისიისთვის წერილობითი ან/და ზეპირი რეკომენდაციის თაობაზე შეკითხვით მიმართვის უფლება აქვს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედ წევრს.

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვის ავტორი არ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, მისი მონაცემები არ ფიქსირდება „წევრთა ერთიან სიაში“ და ის არ წარმოადგენს ადვოკატს, შესაბამისად „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 42-ე მუხლის თანახმად შეკითხვის ავტორი არ არის უფლებამოსილი პირი, რომ ეთიკის კომისიას მიმართოს შეკითხვით წერილობითი რეკომენდაციის გაცემის თაობაზე, შესაბამისად ეთიკის კომისია ვერ გასცემს პასუხს შეკითხვის ავტორის მიერ დასმულ შეკითხვას.

მართალია, ეთიკის კომისია ვერ უპასუხებს შეკითხვის ავტორის მიერ დასმულ კონკრეტულ შეკითხვას, თუმცა კოლეგია საჭიროდ მიიჩნევს, რომ გააკეთოს ზოგადი სახის განმარტება ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებზე და რომელი ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულება აქვს ადვოკატს:

ადვოკატის ცნება განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვით: „ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ამომწურავად აყალიბებს ადვოკატის ცნებას და განსაზღვრავს, რომ:

1. ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის მქონე პირი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებს და არა ზემდგომ პირს;

2. იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს ადვოკატად, აუცილებელია იყოს გაწევრიანებული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, საადვოკატო საქმიანობის პრინციპებია:

ა) კანონიერება; ბ) სამართლის უზენაესობა და მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება; გ) პროფესიული კომპეტენტურობა; დ) ადვოკატის კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა; ე) საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა; ვ) ადვოკატთა თანასწორობა და მათი დისკრიმინაციის დაუშვებლობა; ზ) საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობა; თ) ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა და დაცვა; ი) ადვოკატის მიერ დაცვის უფლების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; კ) ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა; ლ) ადვოკატის მიერ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი კი განსაზღვრავს, რომ ადვოკატი ვალდებულია:

ა) კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები;

ბ) ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები;

გ) არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები;

დ) დაიცვას პროფესიული საიდუმლოება;

ე) შეასრულოს საპროცესო კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობები და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში კლიენტს დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ;

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ ადვოკატებზე, შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ პირი არ არის ადვოკატი მას არ აქვს მინიჭებული საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, მასზე აღნიშნული ნორმატიული აქტების მოქმედება არ გავრცელდება. იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში. ადვოკატთა ასოციაციის წევრობა - ადვოკატის, თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლის სტატუსი გამოხატავს კონკრეტული პირის კავშირს ადვოკატთა ასოციაციასთან და ადვოკატთა ერთიან სიაში რიცხული მოქმედი ადვოკატები, რომელთაც არ აქვთ წევრობა შეჩერებული, ექვემდებარებიან ადვოკატთა პროფესიულ ეთიკურ ვალდებულებებს;

სწორედ ადვოკატის სტატუსი წარმოშობს ვალდებულებას ადვოკატთა მრავალათასიანი კორპორაციის წინაშე, რომელიც შეესაბამება ეთიკის კოდექსში გაცხადებულ მაღალ მიზანს - თითოეულმა ადვოკატმა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას და იზრუნოს პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის.

ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმები გამოიყენება ადვოკატის როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის შემთხვევაში. ზოგადად, ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებს კლიენტის სასარგებლოდ, თუმცა, პროფესიის მაღალი სტანდარტებიდან და ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, ადვოკატზე პროფესიული ეთიკის ნორმების მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს კლიენტის ინტერესებს, არამედ ადვოკატი მისი სტატუსიდან გამომდინარე ვალდებულია დაიცვას პროფესიული ეთიკა, რაც მოიცავს არა მხოლოდ საადვოკატო საქმიანობას, არამედ ადვოკატის სტატუსის მქონე პიროვნების ქმედებებს, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს პროფესიას, შესაბამისად, ვალდებულია იზრუნოს პროფესიულ იმიჯზე და კორპორაციულ ავტორიტეტზე.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესიის მაღალი სტატუსი არ შემოიფარგლება მხოლოდ კლიენტთან არსებული საქმიანობით. ადვოკატის ფუნქცია ადვოკატს აკისრებს მთელ რიგ ვალდებულებებს, რომელიც მას გააჩნია სასამართლოს, სხვა ორგანოების, საზოგადოების და სხვა ინსტიტუციების წინაშე. ამდენად, ამ პროფესიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადვოკატის როლისა და მისი დანიშნულების გააზრებასა და გათავისებას. ამისათვის, პირველ რიგში აუცილებელია, რომ ადვოკატი პატიოსნად ასრულებდეს საადვოკატო საქმიანობას მაღალი პროფესიონალიზმით და იმ პრინციპების დაცვით, რაც დადგენილია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით.

კეთილსინდისიერება, კარგი რეპუტაცია და იურიდიული პროფესიის პატივისცემა ერთ-ერთი პრინციპია, რომლის საფუძველზე უნდა მოქმედებდეს ადვოკატი. საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, სხვა პრინციპებთან ერთად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი, რადგან ადვოკატის პროფესიონალიზმი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ პრინციპზე დაფუძნებული უფლება ვალდებულებების გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადვოკატი პირად და სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს კლიენტის ინტერესებს. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ამ პრინციპის დარღვევაზე მიუთითებენ შემთხვევები, როდესაც ადვოკატს კლიენტთან ურთიერთობაში აღრეული აქვს პირადი და კლიენტის ინტერესები. ამდენად, სხვა რიგ პრინციპებთან ერთად, ადვოკატმა საადვოკატო საქმიანობა უნდა განახორციელოს კეთილსინდისიერად, კარგი რეპუტაციით და იურიდიული პროფესიის პატივისცემით და არ დაუშვას თავისი ან სხვა პირთა ინტერესები დააყენოს კლიენტის ინტერესებზე მაღლა.

ეთიკის კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადვოკატის ყველა მოქმედება უნდა მიუთითებდეს ამ პროფესიისადმი წაყენებული მოთხოვნების ზედმიწევნით მაღალი სტანდარტით დაცვაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ არა მარტო ფაქტობრივად, არამედ საზოგადოებაშიც უნდა არსებობდეს ადვოკატის საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულების აღქმა.

ადვოკატს თავისი პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს. ის ვალდებულია საადვოკატო საქმიანობა კეთილსინდისიერად განახორციელოს და გასწიოს კვალიფიციური მომსახურება. ადვოკატებმა პროფესიული ფუნქციები უნდა განახორციელონ ნებისმიერი სახის გავლენის გარეშე, მათ შორის თავიანთი პირადი ინტერესებიდან, სხვა კლიენტების და ნებისმიერი პირის გავლენის გარეშე. ეს ნიშნავს იმას, რომ ადვოკატის საქმიანობა უკავშირდება იურიდიულ და მორალურ ვალდებულებათა წესებს, რომელთაც გააჩნიათ მჭიდრო ურთიერთკავშირი.

დასკვნა:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 42-ე მუხლისა და 41-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ეთიკის კომისია ვერ გასცემს რეკომენდაციას შემოსულ შეკითხვასთან დაკავშირებით.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/